პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 144 (4914)
1973 წ. 24 ივლისი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა

1974-1975 წლების მანძილზე ტარდება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება. სპარტაკიადის დევიზია: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის". ამ გრანდიოზული მასობრივი სპორტული ღონისძიების პროგრამაშია 40 სახეობა (მათ შორის, 15 სამხედრო-ტექნიკური). შეჯიბრებები გაიმართება 4 ეტაპად.

პირველ ეტაპზე მოეწყობა მასობრივი შეჯიბრებები და სპარტაკიადები მზდ კომპლექსში და სპორტის ცალკეულ სახეობებში საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, დაწესებულებათა და სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივებსა და დოსააფის პირველად ორგანიზაციებში, შეიარაღებული ძალების ნაწილებსა და ქვედანაყოფებში.

მეორე ეტაპზე გაიმართება რაიონული და საქალაქო სპარტაკიადები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ფიზიკური კულტურის კოლექტივები და დოსააფის ორგანიზაციები.

მესამე ეტაპზე ჩატარდება რსფსრ-ს საოლქო, სამხარეო, ავტონომიური რესპუბლიკების ზონალური სპარტაკიადები, მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადები.

დასკვნითი, მეოთხე ეტაპი — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალური ნაწილი — მოეწყობა 1975 წლის ივლის-აგვისტოში ერთდროულად მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, ლენინგრადში, სევასტოპოლში, ვორონეჟში, გროზნოში, კალინინში, კალუგაში, კაუნასში, კურსკში, ორიოლში, პოლტავაში, ტერნოპოლში, ტულაში, ხარკოვსა და იაროსლავლში.

[illegible] მოგვითხრობს

თამამი ბინდმა შეწყვიტა

კვირას, როგორც იქნა, გამოიდარა და შესაძლებელი გახდა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის დევისის თასის გათამაშების ევროპის „ა" ზონის ნახევარფინალური მატჩის დაწყება.

ლუჟნიკში ხუთი ათასამდე კაცმა მოიყარა თავი ამ შეჯიბრების სანახავად. თავდაპირველად ცენტრალურ კორტზე გამოვიდნენ გუნდების მეორე ნომრები თ. კაკულია და ფ. ჟოფრე. თბილისელი ჩოგბურთელი დუნედ, შებორკილი თამაშობდა, ბევრი შეცდომაც დაუშვა და სტუმრები დაწინაურდნენ — 1:0. მერე წვიმაც წამოვიდა, რის გამოც პირველი ჩოგნების — უიმბლდონის ფინალისტ ა. მეტრეველისა და პ.-ჟ. პრუაზის შეხვედრა 18 საათამდე არ დაწყებულა. მესამე ხელის დროს, როცა ანგარიში იყო 2:1 მეტრეველის სასარგებლოდ, ჩამობნელდა კიდეც, რის გამოც ორთაბრძოლა შეწყდა. მეტრეველმა დამაჯერებლად მოიგო პირველი ხელი — 6:3. იგი წინ იყო მეორე ხელის დროსაც — 2:0 და 3:2, მაგრამ შემდეგ ინიციატივა დათმო და პარტია მისმა მეტოქემ მოიგო — 8:6.

საბჭოთა ჩოგბურთელები დევისის თასის გათამაშებაში 1952 წლიდან მონაწილეობენ, მაგრამ საფრანგეთის გუნდთან კინკისყრამ ისინი პირველად შეახვედრა. საბჭოთა სპორტსმენთა უმაღლესი მიღწევა ევროპის ზონის ფინალში გასვლაა. ეს გუნდმა ბოლო ექვსი წლის მანძილზე ოთხჯერ შეძლო. ფრანგებს ომამდე ექვსჯერ აქვთ მოგებული დევისის თასი.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის ჩოგბურთელთა მატჩში გამარჯვებულის მეტოქე ევროპის „ა" ზონის ფინალურ შეხვედრაში უკვე ცნობილია. ესაა რუმინეთის გუნდი, რომელმაც ამ დღეებში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ახალი ზელანდიის ჩოგბურთელები.



პლაკატი — უნივერსიადას

15-დან 25 აგვისტომდე მოსკოვში ჩატარდება მსოფლიოს სტუდენტთა თამაშები. წინასწარი ვარაუდით, სარბიელზე 80 ქვეყნის 4800 სპორტსმენი უნდა გამოვიდეს.

სურათზე: უნივერსიადისთვის გამოშვებული პლაკატი.

ა. იაკოვლევის ფოტო.
(საკდესი).

როსტოვის ცისფერ ბილიკებზე

დონის როსტოვში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი, მოზარდთა საკავშირო პირველობა და ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცურვაში. სამი ესოდენ დიდი ტურნირის გაერთიანებამ როსტოვის 50-მეტრიან აუზზე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 600-ზე მეტ წარმომადგენელს მოუყარა თავი. ბრძოლაში 13 წლისა და უფროსი ასაკის სპორტსმენები მონაწილეობენ.

სტარტზე თავი განსაკუთრებით ისახელა 14 წლის ლენინგრადელმა თ. შელოფასტოვამ, რომელმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სსრ კავშირის ქალთა აბსოლუტური რეკორდი დაამყარა — 1.00,8. ეს 0,3 წამით სჯობს ნოვოსიბირსკელი ტ. ზოლოტნიცკაიას შარშანდელ მიღწევას და 0,6 წამით აღემატება ქალიშვილთა საკავშირო რეკორდს, რომელიც ახევე შარშან ე. ტიმოშენკომ (მოსკოვი) დაამყარა.

რეკორდი კარგია, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ მსოფლიო რეკორდი, რომელიც კ. ენდერს (გდრ) ეკუთვნის, 58,2 წამია, ლენინგრადელი გოგონას მაჩვენებელი საერთაშორისო დონეზე ბევრად დაბალია.

ამ დისტანციაზე შელოფასტოვამ სამი ოქროს მედალი მოიგო — სსრ კავშირის ჩემპიონატისა, ახალგაზრდული თამაშებისა და მოსწავლეთა პირველობისა. ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ერგო ბელგოროდელ ა. ბოგატირიოვას — 1.01,9, ბრინჯაოსი კი მოსკოველ ლ. კობზოვას — 1.02,1.

შელოფასტოვამ 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაშიც იმარჯვა — წინასწარ ტურნირში გოგონათა საკავშირო რეკორდს, რომელიც აგრეთვე ტიმოშენკოს ეკუთვნოდა, 0,2 წამი დააკლო — 2.12,6. მოსალოდნელია, რომ ფინალში რეკორდი კიდევ გაუმჯობესდება.

100 მეტრზე ბატერფლაით ცურვა მოიგო ა. მეერზონმა (ლენინგრადი) — 1.07,3, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ყველას აჯობა ხარკოველმა ნ. პოპოვამ — 5.16,3. ასეთივე შედეგისთვის ვერცხლის მედალი ხვდა მ. მალიუტინას (ლენინგრადი).

800 მეტრზე შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ა. ბურმენსკაია (ნორილსკი) — 9.30,1. 200 მეტრზე ბრასით იმარჯვა შარშანდელმა ჩემპიონმა 100 მეტრზე ამ სტილით ცურვაში ლ. პორუბაიკომ (კრასნოდარი) — 2.43,8.

1973 * ВСЕСОЮЗНЫЕ
СПОРТИВНЫЕ ИГРЫ МОЛОДЕЖИ

რეკორდები

ვარშავა, 21 ივლისი. სსრ კავშირში გამომგზავრების წინ აქ სტუმრად მყოფმა აშშ-ს იუნიორ მძლეოსანთა ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა პოლონეთის ეროვნულ გუნდთან. ბრწყინვალედ იასპარეზეს ამერიკელმა ჭაბუკებმა 4×100 მ ესტაფეტაში. მათ არა მარტო გაუსწრეს თავიანთ პოლონელ თანატოლებს, არამედ ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარეს — 39,6.

კიშინიოვი, 21 ივლისი. წყალქვეშ სწრაფცურვაში აქ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვა ერევნელმა სტუდენტმა, 20 წლის შ. კარაპეტიანმა, რომელმაც 50 მეტრი ყვინთვით 16,8 წამში გაიარა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

წყალში ხტომა

ბოლო ნახტომმა გადაწყვიტა

ლენინგრადი, 22 ივლისი. წყალში მხტომელთა ევროპის თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე ვაჟთა შორის ტრამპლინზე შეჯიბრებაში ძვირფასი ჯილდოს ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ იტალიელი კ. დიბიასი და საბჭოთა სპორტსმენი, მოსკოველი ვ. ვასინი. ორი ოლიმპიური ჩემპიონის ბრძოლა იტალიელმა მოიგო — 609,03. ვასინის შედეგია 595,08. III ადგილი წილად ხვდა ვასინის თანაქალაქელს ვ. სტრახოვს — 588,36.

გასულ კვირას ვაჟები კოშკიდან, ხოლო ქალები ტრამპლინიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ქალთა შორის წინასწარი შეჯიბრების შემდეგ გამოიკვეთა ლიდერთა ჯგუფი. ესენი იყვნენ საბჭოთა სპორტსმენი თ. საფონოვა, შვედი უ. კნაპე და კ. კელერი (გდრ). დასკვნითი სამი ნახტომი საფონოვამ უკეთ შეასრულა და ევროპის თასიც დაისაკუთრა — 454,44. მომდევნო ადგილები მოიპოვეს კნაპემ და კელერმა.

საინტერესო ბრძოლა გააჩაღეს ვაჟებმა კოშკიდან ხტომაში. ნახტომამდე ვერ გაარკვევდი, ვის გაუღიმებდა ბედი. შესანიშნავად ასპარეზობდნენ ამ შეჯიბრების დებიუტანტი, მინსკელი ნ. მიხაილინი და იტალიელი დიბიასი. ბოლო ნახტომი თითქმის უშეცდომოდ შეასრულა მიხაილინმა, რამაც მას საშუალება მისცა გაესწრო ოლიმპიური ჩემპიონისთვის და თასი მოეპოვებინა — 542,22. დიბიასი მეორე იყო — 439,91. მისი თანამემამულე ფ. კანიოტო III ადგილზე გავიდა — 422,23 ქულა.

გუნდური პირველობის პრიზი — ევროპის თასი დაისაკუთრეს გდრ-ის სპორტსმენებმა, რომლებმაც 368 ქულა დააგროვეს. სსრ კავშირის ნაკრები მეორე იყო — 366, იტალიის გუნდი კი მესამე — 326.



ახალი საფოსტო მარკა

მოსკოვი. სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ მზდ კომპლექსისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა გამოუშვა.

სურათზე: ახალი საფოსტო მარკა.

ვ. ხუხლაევის ფოტო.
(საკდესი).

ახალი ამბები-73

● **ბუდაპეშტი,** 22 ივლისი. აქ სტუმრად იყო იაპონიის ფრენბურთელ ქალთა გუნდი, რომელმაც რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ადგილობრივ სპორტსმენებთან. ოთხი შეხვედრიდან იაპონელებმა ორი წააგეს და ორი მოიგეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო მათი შეხვედრა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელ უნგრეთის ნაკრებთან, რომელშიც სტუმრებმა გაიმარჯვეს — 3:2 (15:10, 14:16, 15:7, 14:16, 15:3).

● **ვარშავა,** 22 ივლისი. პოლონეთის გარშემო მოწყობილი 30-ე ველორბოლა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. გაიმარჯვა ლ. ლისმა. მან ჩამოიტოვა მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებული, ცნობილი პოლონელი ველოსიპედისტი რ. შურკოვსკი.

● *კიტცბიული (ავსტრია), 22 ივლისი.* საბჭოთა ჩოგბურთელებმა ო. მოროზოვამ და ზ. ივანოვამ (იანსონე) მოიხვეჭეს ავსტრიის ჩემპიონობა ქალთა წყვილებს შორის. მათ დაამარცხეს ავსტრალიელები ი. გულაგონგი და ჟ. იანგი — 2:6, 6:4, 6:2. მოროზოვამ ქალთა ერთეულების ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. იგი გადამწყვეტ მატჩში ისევ გულაგონგს შეხვდება.

● **ტულა, 22 ივლისი.** აქ მიმდინარე ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატში 1000 მეტრზე გიტში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ოდესელმა ა. იაბლონოვსკიმ, რომლის შედეგია 1.09,61. ვერცხლის მედალი მოიპოვა კიეველმა ვ. სემენეცმა — 1.09,83, ბრინჯაოსი კი ომსკელმა ე. რაშმა — 1.10,27.

ახალი ამბები-73

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

[illegible] მოგვითხრობს

„არწივის ცეკვა"

აბაკანში ჩატარდა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის პირველობა სპორტის ეროვნულ სახეობებში. იაკუტთა წარმომადგენლები პირველობდნენ ხუთიდან სამ სახეობაში — იაკუტურ ხტომაში, ბურიატულ ჭიდაობასა და საწონებით შეჯიბრებაში. ტუველმა ათლეტებმა ყველას აჯობეს ჭიდაობა „ხურეშის" ოთხივე კატეგორიაში.

ტრადიციისამებრ, ორთაბრძოლების დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ მოჭიდავეები ცეკვავდნენ „არწივის ცეკვას" — სპორტსმენთა ძალის, სიმამაცისა და მოქნილობის სიმბოლურ გამოხატულებას.

აბაკანი.

ასე გამოიჭედა გამარჯვება

როცა გუნდი პასუხსაგებ ტურნირში სასპარეზოდ მიემგზავრება, შეუძლებელია მწვრთნელს აწონ-დაწონილი არ ჰქონდეს სპორტსმენთა შანსები და სავარაუდოდ მაინც არ ფიქრობდეს, რომელი ადგილი შეეფერება ყველაზე მეტად მათს პოტენციალს. მწვრთნელი კი არა, პროგნოზებს ხშირად ჟურნალისტებიც მიმართავენ. ოღონდ ისინი, რა თქმა უნდა, ისე ღრმად ვერ სწვდებიან მდგომარეობას და დასკვნებსაც მეტწილად ზედაპირული ანალიზის საფუძველზე აკეთებენ. მწვრთნელის გულახდილი სიტყვები ამ შემთხვევაში არა მარტო სარწმუნოა, არამედ ღრმად დასაბუთებულიცაა და ამიტომაც მუდამ ანგარიშგასაწევია.

საქართველოს „კლასიკოსთა" ახალგაზრდული გუნდის შესაძლებლობებზე ნაკრების უფროს მწვრთნელს დ. დავითაიას საკმაოდ გამოკვეთილი აზრი ჰქონდა ალმა-ათაში (საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ფინალზე) გამგზავრების წინ. მწვრთნელმა წინასწარ განაცხადა, ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გავალთო, მერე კი თავისი მოსაზრება ასე განმარტა: „გუნდი გუნდს რომ ეჭიბრებოდეს, საქართველოს ნაკრებს ვერავინ დაუდგებოდა წინ, მაგრამ ალმა-ათის ტურნირი პირად-გუნდურია. ამან კი ბევრი მოულოდნელობა შეიძლება გამოიწვიოს".

მწვრთნელის სიტყვები მხოლოდ წინდახედულობით და სიფრთხილით არ შეიძლება აიხსნას. პირად-გუნდურ ტურნირში მართლაც ბევრი რამაა დამოკიდებული ბრმა შემთხვევაზე, რომლის გამოსწორებაც მერე უკვე შეუძლებელია. გუნდურ ასპარეზობაში კი ყველა ერთ საქმეს ემსახურება და ამიტომაც ერთის წარუმატებლობა ადვილად სწორდება დანარჩენების ხარჯზე.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა შეჯიბრების დაწყებამდე ერთ-ერთი საპრიზო ადგილის დაკავებას ფიქრობდა და, ვინაიდან ღრმად სწამდა თავის შესაძლებლობა, ჩანს ჰქონდა კიდეც ამის საფუძველი.

— ჩვენი, მთავარი მიზანი, — თქვა ერთხელ მწვრთნელმა, — ახალგაზრდული თამაშების ფინალში წარმატება იყო და იანვრიდან მთელი მუშაობა სწორედ ამ მხრივ წარვმართეთ. თანაც, მუდამ გვახსოვდა, რომ ამ თამაშების შედეგები საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის ჩათვლაში შედის. მეტსაც გეტყვით: საქართველოს გუნდის ათივე წევრი საკავშირო ნაკრებში რომ შეეყვანათ, რა თქმა უნდა, გამეხარდებოდა, მაგრამ უპირატესობას მაინც ახალგაზრდულ თამაშებს მივანიჭებდი.

ახლა უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ალმა-ათაში საქართველოს მოჭიდავეებმა პირველი ადგილი დაისაკუთრეს, მაგრამ ბრძოლის მსვლელობაში იყო მომენტი, როცა ყველაფერი ბეწვზე ეკიდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით მეორე წრეში, როცა ასპარეზობას გამოეთიშა გუნდის ორი წევრი ზ. ხუბაშვილი (52 კგ) და ი. ლომაშვილი (მძიმე). მაშინ არავინ იცოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ვინ გაივლიდა უდანაკარგოდ წინასწარი ბრძოლების ურთულეს ლაბირინთებს და ვინ შეინარჩუნებდა ძალებს ფინალებისთვის.

ჩვენმა მწვრთნელებმა შვებით ამოისუნთქეს მხოლოდ მეოთხე წრეში, როცა საქართველოს გუნდის შვიდივე წევრმა გაიმარჯვა, მათ შორის ექვსმა — წმინდად. დავითაიას თქმით, სწორედ მაშინ გახდა ცხადი, რომ რესპუბლიკის მოჭიდავეთა ნაკრები უმაღლესი ჯილდოს ყველაზე რეალური პრეტენდენტი იყო. უფრო მეტიც, ახლა უკვე ჩვენი გუნდის წევრებზე გახდა დამოკიდებული მომდევნო საპრიზო ადგილების განაწილებაც. მაგალითად, თ. კიკნაძეს (82 კგ) ფინალური ბრძოლა რომ წაეგო რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელთან, მაშინ რუსეთის გუნდი ყაზახეთის ნაკრებზე 1 ქულით მეტს დააგროვებდა და II ადგილზე გავიდოდა. ანალოგიური სურათი იყო 48 კგ წონითი კატეგორიის ფინალშიც. ვ. ბლაგიძესთან გამარჯვების შემთხვევაში უკრაინელები სამეულში შევიდოდნენ რუსეთის ფედერაციის ან ყაზახეთის ნაცვლად. მაგრამ ქართველმა მოჭიდავეებმა ორთავე ფინალური ბრძოლა მოიგეს, რის შედეგადაც ყაზახეთის გუნდი 129 ქულით II ადგილზე გავიდა, რუსეთის ფედერაციის კოლექტივმა III ადგილი (128 ქულა) დაიკავა, საქართველოს ნაკრები კი ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი გახდა (138).

გამარჯვებული გუნდის მწვრთნელმა ქებით მოიხსენია ტურნირის ყველა მონაწილე. ეს გასაგებიცაა: ასეთი დიდი წარმატების შემდეგ სპორტსმენები ნამდვილად იმსახურებენ წახალისებას. დავითაია ყველაზე მეტად ბლაგიძითაა კმაყოფილი. მისი სიტყვით, რესპუბლიკას ასეთი მონაცემების მქონე მოჭიდავე ამ წონაში არასოდეს ჰყოლია. მაგრამ მონაცემები ერთია და სულ სხვაა, რა მიმართულებით ვითარდება ისინი. მწვრთნელის აზრით, ბლაგიძე ჯერ ახალგაზრდაა (დაბადებულია 1954 წელს), ბეჯითი, და გამოცდილებასაც თანდათან შეიძენს.

ბლაგიძემ ჭიდაობა თავის მშობლიურ ქალაქ მახარაძეში ისწავლა. მის აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელ მ. თავართქილაძეს. ამ დაუზარებელმა პედაგოგმა ნორჩ სპორტსმენს შთაუნერგა ჭიდაობის სიყვარული, შრომისადმი პატივისცემა, მუყაითობა და, როგორც ხედავთ, შედეგმა არ დააყოვნა. სხვათა შორის, თავართქილაძეს ტალანტების აღმოჩენის განსაკუთრებული ალღო აქვს. სწორედ მან იპოვნა და დიდი სარბიელისკენ დაულოცა გზა ჯ. მეგრელიშვილს, დღეს უკვე აღიარებულ ფავორიტს, სსრ კავშირის ნაკრების წევრს.

კარგად იჭიდავეს თამაშებში გამარჯვებულმა სპორტსმენებმა მ. სალაძემ (100 კგ) და თ. კიკნაძემ. პირველმა თავისებური რეკორდიც კი დაამყარა, როცა ექვსივე შეხვედრა წმინდად მოიგო, თანაც, ყველა გამარჯვებას 15 წუთზე ნაკლები დრო მოანდომა. გუნდის კაპიტნის ასეთი გამოსვლა სხვებისთვისაც მისაბაძი მაგალითი იყო.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იოსებ ბერიშვილზე, რომელსაც მწვრთნელები უსიტყვოდ აკუთვნებდნენ I ადგილს 74 კგ წონითს კატეგორიაში. იგი მართლაც კარგად იყო მომზადებული, ორი პირველი ბრძოლა წმინდად მოიგო, მაგრამ მესამეში მოულოდნელად დაშავდა და ასპარეზობას გამოეთიშა. ბერიშვილს დიდი მომავალი აქვს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. სხვაგვარად მას არავინ შეიყვანდა სსრ კავშირის უფროსთა ნაკრებში. ამჟამად სპორტსმენი იშუშებს ალმა-ათაში მიღებულ ტრავმებს და მწვრთნელებიც მისგან მეტს არაფერს მოითხოვენ.

სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა, წარსულში სახელგანთქმულმა მოჭიდავემ გ. საპუნოვმა ტურნირის დამთავრების შემდეგ გულწრფელად მიულოცა ჩვენს გუნდს წარმატება. მან თქვა: „ქართველ მოჭიდავეებს კარგად ვიცნობ. მათთან წლების მანძილზე მქონდა კეთილი ურთიერთობა როგორც სარბიელზე, ისე ცხოვრებაში. კარგად ვიცი მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. ტაქტიკურად ქართველები მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ, ტექნიკა მათ, როგორც წესი, უბადლო ჰქონდათ. მოიკოჭლებდნენ მხოლოდ გამძლეობაში და ეს, თუ შეიძლება ითქვას, მათი ტრადიციული ნაკლი იყო. წლეულს კი პირდაპირ გამაოცა თქვენი მოჭიდავეების გამძლეობამ: ისინი ამ მხრივაც შეუდარებელნი იყვნენ. უფრო მეტიც, ალმა-ათაში თქვენებს მთავარი კოზირი სწორედ გამძლეობა აღმოჩნდა. ეს კი, ახალი წესების მიხედვით, წარმატების ნახევარია, ვინაიდან დღეს შეიძლება 20 ქულით იგებდე შეხვედრას, მაგრამ დამარცხდე, თუ გამძლეობა ბოლომდე არ გეყო".

ახალგაზრდული თამაშების რეგლამენტით, შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 1952—1955 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს. ჩვენს გუნდში მხოლოდ ერთი სპორტსმენი იყო კრიტიკულ ზღვარს მიღწეული — 1952 წელში დაბადებული (გ. გოგნაძე). დანარჩენები უფრო ახალგაზრდები არიან, ეს კი ნიშნავს, რომ პერსპექტივა საქართველოს ნაკრებს მეტი აქვს, ვიდრე მის მთავარ მეტოქეებს — რუსეთის ფედერაციის (გუნდში 1952 წელში დაბადებული 9 მოჭიდავეა), უკრაინის (8) და ყაზახეთის (9) კოლექტივებს.

საქართველოს ნაკრები რომ ნამდვილი და ღირსეული ჩემპიონია, ეს სხვა ფაქტებიდანაც ჩანს. მაგალითად, ალმა-ათაში მსაჯთა კოლეგიამ გაფრთხილებების შემდეგ 99 წყვილი მოხსნა. ეს მკაცრი განაჩენი გავრცელდა საქართველოს გუნდის მხოლოდ სამ წევრზე. ტურნირის პროცესში 165 წმინდა გამარჯვება აღინიშნა. აქედან ჩვენი სპორტსმენების წილად მოდის 30. და ბოლოს, ერთი საგულისხმო ფაქტი: სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში მოხვდა საქართველოს 9 მოჭიდავე. როგორც იტყვიან, ამ შემთხვევაში კომენტარი ზედმეტია.

ნ. გუგუშვილი.

რთულ მონაკვეთზე.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

ფსიქოლოგია ფიზკულტურასა და სპორტის სამსახურში

ცნობები კათედრებსა და ლაბორატორიებიდან

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვა, სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ ამ მიღწევების დაუფლება შეუძლებელია გონებრივი შრომის გარეშე. იგი მოითხოვს უძრავ, მჯდომარე მდგომარეობაში ხანგრძლივად ყოფნას, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ორგანიზმის ნორმალური განვითარებისთვის საჭირო სამოძრაო ფუნქციების მოდუნების წინა პირობაა. ეს უკანასკნელი გარემოება ხშირად პიროვნების დისჰარმონიული განვითარების, შინაგანი კონფლიქტის, სასიცოცხლო ძალების— სულიერი ენერგიის დაქვეითების და სიძაბუნის მიზეზი ხდება.

ერთ-ერთი რადიკალური საშუალება, რითაც თანამედროვე ტექნიკური პროგრესის ვითარებაში შესაძლებელია სულიერი სიჯანსაღის, პიროვნების მთლიანობის შენარჩუნება, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ადამიანის აღზრდა, ესაა ფიზკულტურა და სპორტი, მისი მასობრივად დანერგვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სწავლა-აღზრდის საბჭოურ სისტემაში ფიზიკური კულტურა და სპორტი ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებად ითვლება. მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, როცა იგი თანამედროვე ბიოლოგიურ, პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევებს დაეფუძნება. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებიან სპეციალური საკვლევი ინსტიტუტები და უმაღლესი ფიზკულტურული სასწავლებლები, ჩვენში საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, რომელთა შორის ბევრია ამავე ინსტიტუტის კედლებში აღზრდილი სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტი, ინტენსიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო კვლევით მუშაობას ეწევიან მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ჩვენ ამ წერილში შევჩერდებით ფიზკულტურის ინსტიტუტის ფსიქოლოგთა მუშაობაზე.

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე მომუშავე ფსიქოლოგებმა მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდისთვის განიზრახეს მაქსიმალურად გამოიყენონ თანამედროვე ფსიქოლოგიის, კერძოდ, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიღწევები. ამ მიზნით შეიქმნა სახელმძღვანელოები „სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია" (1959 წ.), „ზოგადი ფსიქოლოგია" (1968 წ.), რომლებშიც ასახულია ზოგადი და სპორტის ფსიქოლოგიის თანამედროვე წარმატებები. ავტორთა კოლექტივი ამჟამად ამზადებს სპორტის სპეციალური ფსიქოლოგიის კურსს სტუდენტებისა და მწვრთნელებისთვის. ყველა ჩამოთვლილი სახელმძღვანელო ქართველ ახალგაზრდობას, მწვრთნელებს, ფიზკულტურის მასწავლებლებს საშუალებას მისცემს მშობლიურ ენაზე გაეცნონ და შეისწავლონ ფიზკულტურისა და სპორტის, კერძოდ, სპორტული წვრთნის ფსიქოლოგიური საფუძვლები.

ფართოდაა გაშლილი კვლევითი მუშაობა სპორტის ფსიქოლოგიის ისეთი საკვანძო საკითხების შესწავლაში, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სპორტული წვრთნის მაღალ დონეზე წარმართვისა და სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადებისთვის, კერძოდ, შესწავლილ იქნა, მოძრაობის ფუნქციის განვითარების, სპორტული წვრთნისა და შეჯიბრების პირობებში სპორტსმენის შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაციის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, შესწავლილი იქნა სპორტის გავლენა ადამიანის პიროვნების ფორმირებაზე. დადგინდა სპეციალური ფსიქოლოგიური მეთოდების სერია, რომლითაც შესაძლებელია მოზარდისა და ჭაბუკის ინდივიდუალური თავისებურებების დადგენა. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა სპორტული შეჯიბრებების ფსიქოლოგიურ საკითხებზე გ. დვალის მონოგრაფიულმა გამოკვლევამ და მ. ამილახვარის მთელმა რიგმა საინტერესო გამოკვლევებმა.

მომზადდა კვალიფიციური კადრები სპორტის ფსიქოლოგიაში, კერძოდ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ორმა ფსიქოლოგმა (გ. დვალმა, და გ. სამსონაძემ). ამჟამად ინსტიტუტის სამი ასპირანტი წარმატებით მუშაობს სპორტის ფსიქოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში დისერტაციის დასამუშავებლად მომაგრებული იყვნენ უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების ფიზკულტურის მასწავლებლები (ა. ტროშენოკი, პ. ბურბანი, ა. დრობოტი). მათ დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე დაამუშავეს მონოგრაფიები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საკითხებზე და წარმატებით დაიცვეს დისერტაციები მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტში. ტროშენოკი და ბურბანი ამჟამად ტერნოპოლის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობენ. ტროშენოკი ხელმძღვანელობს ფიზკულტურისა და სპორტის დარგში დ. უზნაძის კონცეფციის ნიადაგზე მომუშავე მკვლევართა ჯგუფს, რომელსაც კავშირი აქვს ჩვენი ინსტიტუტის ფსიქოლოგებთან.

ქართველი და ჩვენს ინსტიტუტში აღზრდილი უკრაინელი ფსიქოლოგებისა და პედაგოგების მიერ უზნაძის განწყობის თეორიის ნიადაგზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა საერთო აღიარება მოიპოვა სსრ კავშირში და მის გარეთაც. ამ მიღწევების, კერძოდ, სპორტსმენის პიროვნების შესწავლის დარგში მოპოვებული წარმატების გასაცნობად უცხოეთიდან (პოლონეთიდან და კანადიდან) მოავლინეს ამ დარგის სპეციალისტები. ინსტიტუტში დამუშავებული გამოკვლევების შედეგები გატანილი იყო საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებზე, მასალები გამოქვეყნდა სხვადასხვა საკავშირო ჟურნალში. თბილისში მოეწყო სპორტის ფსიქოლოგთა IV საკავშირო ყრილობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის ფსიქოლოგები, ამ ინსტიტუტში აღზრდილი სპეციალისტები.

ამჟამად ფიზკულტურის ინსტიტუტში აღზრდილი მეცნიერები ეწევიან არა მხოლოდ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, არამედ პრაქტიკულ-ფსიქოლოგიურ მოღვაწეობასაც. უფრო ზუსტად, ისინი მომსახურებას უწევენ სათხილამურო და საციგაო სპორტში ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრებს, სწავლობენ სპორტსმენის პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებს, მწვრთნელებისთვის ამუშავებენ სათანადო ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ხასიათის რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს წვრთნის პროცესის მაღალ დონეზე დასაყენებლად. ამგვარივე მუშაობა სწარმოებს საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივებთან (ფეხბურთში, სათხილამურო სპორტში და სხვ.).

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ, საბჭოთა სპორტის ფსიქოლოგიაში, კერძოდ, კი ქართული სპორტის ფსიქოლოგიაში მოპოვებული წარმატებები სათანადოდ არაა დანერგილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის პრაქტიკაში. ამასთან, არ გვყავს საჭირო რაოდენობის ფსიქოლოგები, რომლებსაც ძალუძთ სკოლებსა და სპორტულ კოლექტივებში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და შეჯიბრებისთვის ფსიქოლოგიური მომზადების საქმეს მოემსახურონ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ფიზიკური აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლების შესწავლას.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დონე ეროვნული შემოქმედებითი ძალის, ეროვნული კულტურის დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის ნათელი გამოხატულებაა. მისი განვითარების პერსპექტივები ბევრადაა დამოკიდებული საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მუშაობასთან. ამ ინსტიტუტის წარმატება, ბევრის მხრივ განპირობებულია იმით, თუ როგორი სიყვარულით მოეკიდება საქმეს ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა, რამდენად გამოიჩენს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მოღვაწეობის ინტერესს.

ვ. ნორაკიძე,
საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე, ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი.

1973

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ფეხბურთის ქრონიკა

21 და 22 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„სპარტაკი" — ასკ (დონის როსტოვი) 1:0. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც პისკარიოვმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა როსტოველთა კარში.

„დინამო" (კიევი) — „ზარია" 1:0. თამაში მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში. კიეველებმა გაიმარჯვეს ბლოხინის მიერ 89-ე წუთზე გატანილი გოლის მეოხებით.

ცსკა — „ზენიტი" 8:7. (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0). მატჩის ბედი გადაწყდა დამატებითი პენალტების სერიებით. როცა ანგარიში იყო 7:7, ცსკა-ს მეკარე ასტაპოვსკიმ შეძლო 11-მეტრიანის აღება, შემდეგ კი თვითონ გაიტანა პენალტი, რომელმაც არმიელებს 1 ქულა მოუტანა.

„კარპატი" — „დინამო" (მოსკოვი) 3:5. ამ მატჩში თავი გამოიჩინა მოსკოველთა ცენტრფორვარდმა კოჟემიაკინმა, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა ლვოველთა კარში. კიდევ ერთი გოლის ავტორი იყო კოზლოვი. მასპინძელთა მხრივ ბურთები გაიტანეს კოზინკევიჩმა, ლიხაჩოვმა და შპოდარუნოკმა.

„დნეპრი" — „ტორპედო" 2:0. ტორპედოელთა კარში ორივე ბურთი მოათავსა პორკუიანმა.

„დინამო" (მინსკი) — „შახტიორი" 8:9 (პენალტებით. ძირითადი დრო 0:0).

„ყაირათი" — „პახტაკორი" 5:4 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1). ამ მატჩში დაწინაურდნენ ალმაათელები (როჟკოვი), ხოლო ანგარიში გაქვითა აბდურაიმოვმა. პენალტების სერია უკეთ შეასრულა „ყაირათმა".

უიმედოდ წაგებული მატჩი

ერევანი. „რაზდანის" სტადიონი. 22 ივლისი.

„არარატი" (ერევანი)—„დინამო" (თბილისი) 3:0 (0:0).

„არარატი": აბრამიანი, ბონდარენკო (მარტიროსიანი), სარქისიანი, კოვალენკო, მესროპიანი, ანდრიასიანი, პოღოსოვი, იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, კაზარიანი (პეტროსიანი).

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჰელიძე, ებრალიძე, მ. მაჩაიძე (მჭედლიშვილი), ასათიანი, გუცაევი, რეხვიაშვილი (წერეთელი), გ. ნოდია.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:1 „არარატის" სასარგებლოდ.

არა გვგონია ვინმეს, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს ფეხბურთთან, უყვარს იგი, ესწრება მატჩებს, არ ენახოს ტელევიზიით 22 ივლისის მატჩი „არარატსა" და თბილისის „დინამოს" შორის. მისი ტრანსლაცია წარმოებდა მთლიანად, თავიდან ბოლომდე, ხილვადობა კარგი იყო, ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ თამაშის ქრონოლოგიურ მსვლელობაზე, რომელ წუთზე რა მოხდა და ა. შ. ეს ყველაფერი ფეხბურთის მოყვარულებმა საკუთარი თვალით ნახეს, ისინი მომხდარი ამბების უშუალო მოწმენი არიან.

ერევნის „არარატი" ახლა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. გუნდი არნახული აღმავლობის პერიოდში იმყოფება, თამაშობს დამაჯერებლად, სოლიდურად, სტაბილურად, ყველა რგოლი დაკომპლექტებული ჰყავს თანაბარი სიძლიერის მოთამაშეებით და სავსებით დასაბუთებული, სამართლიანი პრეტენზიები გააჩნია ოქროს მედლების მოპოვებაზე. არარატელებთან თამაში და ისიც მათს მინდორზე ძალზე ძნელი საქმეა და ამიტომ თბილისელთა დამარცხებაში უჩვეულო, სენსაციური არაფერია. ლიდერი თავის სიმაღლეზე იდგა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც. მთელი საქმე ისაა, როგორ ითამაშებ, როგორ გამოიყურები მინდორზე, რა ვითარებაში ხდება გამარჯვებულის გამოვლენა.

იმავე დღეს, ერევანში მატჩის დამთავრების შემდეგ, ცენტრალური ტელევიზიით ტრანსლირებული იყო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრა კიევიდან ადგილობრივი „დინამოსა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას" შორის. ვოროშილოვგრადელებიც დამარცხდნენ, მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა გაკიცხოს ისინი, რომ არ ითამაშეს მთელი ძალით, არ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი, დაუთმეს ბრძოლის ველი მოწინააღმდეგეს. ეს იყო ორი საფეხბურთო კოლექტივის თანაბარი ბრძოლა, სადაც სპორტის კანონების შესაბამისად გაიმარჯვა უძლიერესმა. გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ღირსეულად იბრძოდა.

სამწუხაროდ, თბილისელ ფეხბურთელებზე ამას ვერ ვიტყვით. გასაოცარი იყო მათი უნებისყოფობა, ინერტულობა. პირველ ტაიმში გუნდი ასე თუ ისე უწევდა მეტოქეობას აღმავლობით მოთამაშე მასპინძლებს, მაგრამ შესვენების შემდეგ მინდორზე ფაქტიურად იმყოფებოდა ერთი გუნდი — „არარატი", რომელიც მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო და დარწმუნებულად განაგებდა მატჩის მსვლელობას. თუ საქმე სიმართლეზე მიდგება, ანგარიში 3:0 „არარატის" სასარგებლოდ ვერც ასახავს ძალთა ნამდვილ შეფარდებას. ერევნელებს მეტი სხვაობითაც შეეძლოთ გაემარჯვათ.

ვერც ერთ თბილისელ ფეხბურთელზე ვერ ვიტყვით, რომ მან ყველაფერი გააკეთა გუნდის სახელად. კანთელაძის ერთი გარღვევის გარდა, როცა იგი მეორე ტაიმის დასაწყისში პირისპირ აღმოჩნდა მეკარე აბრამიანთან და ვერ შეძლო ამ უაღრესად ხელსაყრელი მომენტის გამოყენება, არ გვახსენდება რეალური მომენტები, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს მდგომარეობის გამოსწორება. დინამოელთა ეპიზოდური კონტრშეტევები, რა თქმა უნდა, არ ცვლიდა საერთო სურათს. ერევნელთა წამყვანი მოთამაშეების — ანდრიასიანის, მარქაროვისა და იშტოიანის ნეიტრალიზება თბილისელთაგან ვერ შეძლო ვერავინ, მათი მეთაურობით კი „არარატი" ხელიდან არ უშვებდა ინიციატივას მთელი თამაშის მანძილზე.

ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა მარქაროვმა, შემდეგ კი ზანაზანიანმა და იშტოიანმა ზედიზედ გაიტანეს 2 ბურთი. მატჩის დასასრულამდე ერევნელებს კიდევ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები არ იყო ზუსტი.

თბილისის „დინამოს" ახლა ორი გასვლითი შეხვედრა აქვს ლვოვში და დნეპროპეტროვსკში. კოლექტივი სერიოზულად უნდა დაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას, მოახდინოს ძალთა სრული მობილიზება, რომ არ მოგვაყენოს ახალი უსიამოვნებანი.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივლისისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.		ბ.	ქ.
„არარატი" (ერევანი)	17	11	2	4	44—23	(32—12)	24
„დინამო" (კიევი)	17	8	3	6	47—36	(23—14)	19
„დინამო" (მოსკოვი)	17	8	3	6	44—33	(26—17)	19
ცსკა	17	7	4	6	41—38	(19—20)	18
„სპარტაკი" (მოსკოვი)	17	8	1	8	38—33	(22—18)	17
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	17	7	3	7	41—37	(23—22)	17
„შახტიორი" (დონეცკი)	17	7	3	7	33—34	(15—16)	17
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	17	8	0	9	31—28	(21—12)	16
„დინამო" (თბილისი)	17	6	4	7	41—34	(18—17)	16
„ტორპედო" (მოსკოვი)	17	7	0	10	31—35	(19—18)	14
„ყაირათი" (ალმა-ათა)	17	5	4	8	30—36	(13—23)	14
„ზენიტი" (ლენინგრადი)	17	4	2	11	52—57	(17—19)	10
„დინამო" (მინსკი)	17	4	1	12	40—49	(11—16)	9
„პახთაკორი" (ტაშკენტი)	17	4	1	12	32—44	(20—27)	9
„კარპატი" (ლვოვი)	17	3	3	11	37—52	(16—32)	9
ასკ (დონის როსტოვი)	17	2	3	12	38—51	(8—20)	7

I ლიგა

21 ივლისს შედგა I ლიგის გუნდების მე-19 ტურის კალენდარული შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა ბაქოში დიდი ანგარიშით მარცხი განიცადეს ადგილობრივი „ნეფთჩისგან" — 0:4. სხვა მატჩები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ჩერნომორეცი" (ოდესა)—„ზვეზდა" (პერმი) 1:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 3:0, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:0, „ალგა" (ფრუნზე) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 3:2, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:1, „პამირი" (დუშანბე) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 6:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 3:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 6:7 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივლისისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.		ბ.	ქ.
„ნისტრუ" (კიშინიოვი)	19	13	2	4	49—30	(34—13)	28
„ნეფთჩი" (ბაქო)	19	11	2	6	58—42	(38—19)	24
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	19	11	2	6	41—29	(24—12)	24
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	18	11	1	6	37—16	(32—15)	23
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	19	10	2	7	40—35	(22—19)	22
„შინიკი" (იაროსლავლი)	19	10	1	8	39—28	(27—14)	21
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	19	8	3	8	45—39	(20—16)	19
„სპარტაკი" (ივანო ფრანკოვსკი)	19	8	2	9	37—40	(23—27)	18
„კრ სოვეტოვი" (კუიბიშევი)	19	8	2	9	31—34	(21—26)	18
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	19	7	3	9	53—47	(28—23)	17
„ზვეზდა" (პერმი)	19	7	3	9	41—43	(22—24)	17
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	19	6	4	9	43—48	(20—29)	16
„ტორპედო" (ქუთაისი)	19	7	2	10	33—41	(20—30)	16
„შახტიორი" (ყარაგანდა)	18	6	3	9	37—37	(19—21)	15
„პამირი" (დუშანბე)	19	7	0	12	35—34	(27—24)	14
„კუზბასი" (კემეროვო)	19	6	1	12	45—55	(23—28)	13
„სტროიტელი" (აშხაბადი)	19	5	2	12	33—49	(17—32)	12
„მეტალისტი" (ხარკოვი)	19	4	2	13	30—43	(17—32)	10
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	19	3	1	15	27—43	(12—25)	7
„ალგა" (ფრუნზე)	19	3	0	16	24—45	(14—31)	6

კარგად დაიწყეს

შეპეტოვკა (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება „იმედის თასზე", რომელშიც მონაწილეობენ უკრაინის, თურქმენეთის, მოლდავეთის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები. ჩვენი გუნდის მწვრთნელები არიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ელოშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თ. კუბლაშვილი.

საქართველოს ფეხბურთელებმა წარმატებით დაიწყეს შეჯიბრება. მათ დაამარცხეს თურქმენეთისა (2:0) და ლატვიის (1:0) გუნდები.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: ლატვია — ესტონეთი 4:2, უკრაინა—მოლდავეთი 4:1, უკრაინა — თურქმენეთი 2:0, მოლდავეთი — ესტონეთი 6:0.

შტეჰერი არ ცხრება

შესანიშნავმა მძლეოსანმა ქალმა რენატა შტეჰერმა სპორტული სამყარო შარშან აალაპარაკა, როცა მიუნხენის XX ოლიმპიადის დროს 100 და 200 მეტრზე რბენაში პირველობა არავის დაუთმო და ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონობა მოიხვეჭა. იგი საკლასიფიკაციო შეჯიბრებიდან ფინალამდე ასე აუმჯობესებდა 100 მეტრზე რბენის შედეგს: 11,3; 11,27; 11,18 და ბოლოს — 11,07. 200 მეტრზე მისი ფინალური გარბენის დრო 22,40 წამი იყო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მსოფლიოს უძლიერესი სპრინტერი ქალები გამუდმებით უტევდნენ ამ სახეობებში მსოფლიო რეკორდებს, მაგრამ მათი ცდა ამაო იყო. მხოლოდ შტეჰერი არ ცხრებოდა. ამას წინათ მან მსოფლიოს სპრინტერ ქალებს შორის პირველმა 100 მეტრზე რბენაში 11 წამზე უკეთესი დრო აჩვენა — 10.9, და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ახლახან რენატამ დრეზდენში გამართულ გდრ-ის ჩემპიონატში ბრწყინვალედ იასპარეზა, 100 და 200 მეტრზე რბენაში ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარა. პირველ სახეობაში მან აჩვენა 10,8, მეორეში — 22,1, და კვლავ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში უსწრაფესი მძლეოსანი ქალია.

სურათზე: რ. შტეჰერი ფინიშთან.

მთავარ მეტოქეთა შეხვედრა

ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის იმ ქვეჯგუფში, რომელშიც საბჭოთა ოსტატი ა. ბელიავსკი თამაშობს, შეხვედრები მძაფრი და დაძაბულია. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ტურნირი შვეიცარიული სისტემით ტარდება და ყოველ ტურში ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს.

IV ტურში ბელიავსკი შეხვდა ინგლისელ ჯ. მაილსს, პირველობის ერთ-ერთ ფავორიტს. ბირმინგამელმა მოჭადრაკემ ვენური პარტიის მშვიდობიანი გაგრძელება აირჩია თეთრებით და შეხვედრა მალე ყაიმით დამთავრდა. სხვა ლიდერების — ლ. კრისტიანსენისა (აშშ) და ტენერის (ფინეთი) ბრძოლაში გაიმარჯვა ამერიკელმა და ბელიავსკის დაეწია (თითოეულს 3,5 ქულა). ცხადია, V ტურში ყურადღების ცენტრში მათი პარტია იყო.

კრისტიანსენმა სიცილიური დაცვის „დრაკონის ვარიანტი" აირჩია, მაგრამ ყველა სადებიუტო პრობლემას თავი ვერ გაართვა. ბელიავსკიმ პერსპექტიული პოზიცია მიიღო. კრიტიკულ მომენტში ამერიკელი გონებამახვილურად თამაშობდა და მეტოქეს მახეს უგებდა, მაგრამ საბჭოთა ოსტატმა გვერდი აუარა ხიფათს და გაიმარჯვა. მაილსმა სძლია ამანს (შვეიცარია). კუპერმა (უელსი) მოუგო შეიხელს (ავსტრია) და ახლა ლიდერთა ჯგუფშია.

5 ტურის შემდეგ ბელიავსკის 4,5 ქულა აქვს, მაილსსა და კუპერს — 4-4.

სათამაშო დარჩა ორი ტური. თითოეულ ქვეჯგუფში I-VI ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ბრძოლას ფინალში გააგრძელებენ.

ჭადრაკი

1973 * ВСЕСОЮЗНЫЕ
СПОРТИВНЫЕ ИГРЫ МОЛОДЕЖИ

ჩუხრაის სამი მედალი

ბელაია კალიტვა (როსტოვის ოლქი), 22 ივლისი. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსანთა შეჯიბრების გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა უკრაინის კოლექტივმა, II ადგილზეა რსფსრ, III — მოსკოვი. გამარჯვებულთაგან აღსანიშნავია ახალი კახოვკის მკვიდრის ს. ჩუხრაის წარმატება. მან ჯერ ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობა მოიგო, შემდეგ ჟიტომირელ რ. სვეტაჩევთან ერთად გაიმარჯვა ორადგილიანებით შეჯიბრებაში და პირველი იყო ესტაფეტაში.

შეჯიბრების დროს 9 მონაწილემ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ლვოვი, 22 ივლისი. აქ 12 დღეს გრძელდებოდა ხელბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა ასპარეზობა, რომელიც დამთავრდა უკრაინელ სპორტსმენთა გამარჯვებით. ამ რესპუბლიკის გუნდებმა პირველობა იზეიმეს როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შეჯიბრებაში. უკრაინელებმა ბელორუსიელთა გუნდთან ფინალურ მატჩში დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 20:18. პირველი ექვსეული ასეთია: უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, მოსკოვი, საქართველო, უზბეკეთი.

უკრაინელ გოგონებს კონკურენტი არ ჰყავდათ. ხუთი შეხვედრიდან მათ ხუთივე მოიგეს. დაძაბული ბრძოლა გაიმართა II ადგილისთვის, სადაც ლიტვის გუნდმა მოუგო მოსკოვის ნაკრებს. მომდევნო ადგილები დაიკავეს საქართველოს, მოსკოვის, აზერბაიჯანისა და ბელორუსიის კოლექტივებმა.

ტალინი, 22 ივლისი. დაშნით მოფარიკავეთა შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვა ყირგიზეთის ნაკრებმა, რომელსაც სათავეში ედგა ა. აბუშახმეტოვი. პირად შეჯიბრებაში იმარჯვა ერევნელმა ა. კარაიანმა. რაპირისტ გოგონათა შორის უძლიერესი იყო მინსკელი ი. პავლენკო, ვაჟებში — ოდესელი მ. ნეხანოვი. საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: უკრაინა, რსფსრ, ბელორუსია, სომხეთი და საქართველო.

სტარტი გადაიდო

22 ივლისს პეტროპოლისში (ბრაზილია) უნდა დაწყებულიყო ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეორე საზონათშორისო ტურნირი, მაგრამ სტარტი ორი-სამი დღით გადაიდო.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. კამარამ შეჯიბრების გადატანა ასე ახსნა: ტურნირის მონაწილე ექვსი საბჭოთა მოჭადრაკე პეტროპოლისში უფრო გვიან ჩამოდის, ვიდრე დაგეგმილი იყო. ეს იმან გამოიწვია, რომ მოსკოვში, ბრაზილიის საელჩოში რაღაც გაუგებრობა მოხდა და საბჭოთა დიდოსტატებს ვიზების მიღება დაუგვიანდათ.

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 22 ივლისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ავტომობილისტი" (მოსკოვი) 15:12 (6:6).

„ლოკომოტივი": ცხვედიანი, ასლანიკაშვილი, ფეტვიაშვილი, ლაზიშვილი, კავთელიშვილი, კემულარია, ჩუბინიშვილი, თემურ რუხაძე, ხარშილაძე, კილასონია, ულენტი, სალთხუციშვილი, გიორგაძე, გეგეშიძე (აბაშიძე), თენგიზ რუხაძე.

„ავტომობილისტი": გარკინი, ფედოროვი (ზახაროვი), ვორობიოვი, ბერდიუხინი, ერშოვი, ეპიფანოვი, კოჩეტკოვი, პანტიუხინი, ბახტიაროვი, პოზდნიაკოვი, მარშაკოვი, დობროსკოკინი, ბალაშინი, ხლიუტდინოვი, ტიმკოვი.

მსაჯი ვ. ფრიდმანი (რიგა).

რაგბი რთული, ძალისმიერი თამაშია. მეტოქენი ისეთ მჭიდრო პრესინგს ვერც ერთ სხვა სახეობაში ვერ გამოიყენებენ, როგორც აქ, სადაც ბურთიანი მოწინააღმდეგის შებოჭვისა და მიწაზე დანარცხების უფლებაც არსებობს. ზოგჯერ ერთად ბურთისთვის მებრძოლი იმდენი სპორტსმენი იყრის თავს, რომ ყველაზე გამოცდილ მსაჯებსაც უჭირთ წესის დარღვევის შემჩნევა. მაგრამ უხეშობაზე თვალის დახუჭვა არც ერთ არბიტრს არ ეპატიება. სამწუხაროდ, ფრიდმანი მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა, ამიტომ „ავტომობილისტის" მოთამაშეები ისე გათამამდნენ, რომ, როცა საშუალება მიეცემოდათ, მუშტსაც იყენებდნენ.

ფრიდმანი საჯარიმოსა და შერკინების განსაზღვრაშიც ცდებოდა და ამ შეცდომებს რატომღაც უფრო მოსკოველთა სასარგებლოდ უშვებდა. ამან სტუმრებს საშუალება მისცა ანგარიში პირველებს გაეხსნათ: ბურთი საჯარიმოთი გაიტანეს — 3:0.

სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი „ლოკომოტივი" წარუმატებლობას არ დაუბნევია. გუნდი მონდომებით იბრძოდა, რათა ბოლო ადგილისთვის თავი დაეღწია. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხარშილაძე, რომელმაც რამდენიმე შესანიშნავი რეიდი ჩაატარა. 25-ე წუთზე სწორედ ხარშილაძის წამოწყებული კომბინაცია დააგვირგვინა გუნდის დებიუტანტმა ასლანიკაშვილმა, როცა ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანზე დადო, კილასონიამ კი რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა და ანგარიში 6:3 გახდა. შესვენებამდე 4 წუთით ადრე „ავტომობილისტმა" საჯარიმო დარტყმით (პანტიუხინი) ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი" მალე დაწინაურდა. „ავტომობილისტმა" თავის ნახევარზე რამდენიმეჯერ აშკარად დაარღვია წესი და მათს კარში საჯარიმო დაინიშნა. გოლის გატანის შანსი კარგად გამოიყენა გიორგაძემ — 9:6. მაგრამ წუთის მერე თბილისელთა კარში დაინიშნა ჯარიმა. ბერდიუხინმა ისევ აღადგინა წონასწორობა.

მდგომარეობა დაიძაბა. მოედანზე სტუმრების ხულიგნობამ იმატა. მათ არც მასპინძლები ჩამორჩნენ. ჩხუბისთავებს მსაჯმა მინდორი დაატოვებინა და იქვე დააჯარიმა კავთელიშვილი. პანტიუხინმა თავისი გუნდი დააწინაურა — 12:9.

მოსკოველებმა მორიგი წარმატების იმედით ზედიზედ მიიტანეს იერიში თბილისელთა ჩათვლის მოედანზე. „ლოკომოტივმა" კარის მისადგომების უვნებელსაყოფად უკან დაიხია.

მოსკოველები თითქოს ბედს შეურიგდნენ. ეგონათ ორი ქულა ჯიბეში გვიდევსო, მაგრამ, როცა შეხვედრის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, ისევ ხარშილაძემ იმარჯვა. მან შერკინებიდან გამოტანილი ბურთით ცრუ მოძრაობით გვერდი აუარა რამდენიმე მოსკოველს და მარცხნივ გადააწოდა. ბოლოს ბურთი სალთხუციშვილმა მიიღო და მეტოქის ჩათვლის მოედანში თავგანწირული ნახტომით დადო. ალბათ ეს იყო წლევანდელი ჩემპიონატის ულამაზესი გოლი. გიორგაძემ რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა და „ლოკომოტივმა" ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოიპოვა.

ო. გელაშვილი.

სხვა ჯგუფში

თბილისის დინამოელები კვირას კიევში სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდს („სპარტაკი") ეთამაშებოდნენ. მათ მეორე ტაიმში მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 6:4, მაგრამ შესვენებამდე უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო და შეხვედრაც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 13:10. მარცხის მიუხედავად, „დინამომ" კიეველებთან კარგად ითამაშა.

მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი შაბათს პლიუშჩიხის სტადიონზე სსრ კავშირის ჩემპიონს, მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" ხვდებოდა. ჩემპიონებმა მეტოქის ჩათვლის მოედანში ბურთი ხუთჯერ დადეს (გრაჟდანი, ვანიუშკინი, ისიანოვი, ნეკრასოვი, გავრილოვი), რითაც 20 ქულა აიღეს, საბოლოოდ კი გაიმარჯვეს ანგარიშით 31:6.

მონინოს სტადიონზე ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტები ლენინგრადის „ბურევესტნიკს" შეხვდნენ. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმში სტუმრების ნახევარმცველმა რუმიანცევმა 40 მეტრიდან დაარტყა საჯარიმო და ბურთი ძელებს შორის გაატარა. მარცხმა მასპინძლები გამოაფხიზლა. მათ დარჩენილ დროში 18 ქულა მოიხვეჭეს და გაიმარჯვეს 18:3.

29 ივლისს გაიმართება ჩემპიონატის 1 წრის ბოლო შეხვედრები. მოსკოვში „ფილი" მიიღებს კიევის „სპარტაკს", სსა — ლენინგრადის „ბურევესტნიკს", მსი — „ფილის", თბილისის „დინამო" თანაქალაქელ რკინიგზელებს შეხვდება, რის შემდეგაც რეგბისტებს ერთთვიანი არდადეგები დაეწყებათ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი"	6	6	0	0	90:24	12
სსა	6	5	0	1	106:44	10
„სპარტაკი"	6	4	0	2	77:70	8
„ბურევესტნიკი"	6	3	0	3	71:67	6
„ავტომობილ."	6	2	0	4	53:78	4
„ლოკომოტივი"	6	2	0	4	34:64	4
„დინამო"	6	1	0	5	56:96	2
მსი	6	1	0	5	36:80	2

მზესთან ახლოს.

ვ. გაბელაშვილის ფოტო.

გუნდური III ადგილი და ორი ჩემპიონი

ჩერნოვცი, 23 ივლისი. გუშინ დამთავრდა ჭაბუკ სამბისტთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. ტურნირში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ჭაბუკმა სამბისტებმა, რომლებიც III საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

საქართველოს ათლეტებიდან ჩემპიონები გახდნენ დ. დელიბაშვილი და გ. იობიძე. თ. ნოსელიძემ, დ. ბოდაველმა და ბ. გუგავამ III საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს.

ბრუმელის მაგალითით შთაგონებული

ავსტრიის ქალაქ ინსბრუკში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ამ ტანად, ქერა ჭაბუკს განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენია — დღეს მსოფლიოში ბევრი სპორტსმენი ხტება სიმაღლეზე „ზურგით წინ", იმ ყაიდით, რომელიც პირველად 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამოიყენა ამერიკელმა რიჩარდ ფოსბიურიმ. მხოლოდ სიმაღლე იყო უჩვეულო — 231 სანტიმეტრი. როცა თამასა მესამედაც ჩამოაგდო, სპორტსმენმა ირგვლივ თავმოყრილ ჟურნალისტებს უთხრა: „ვეცდები სხვა დროს გადავხტე"...

ეს ჭაბუკი დუაიტ სტოუნზი იყო. ინსბრუკის შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე, გფრ-ისა და აშშ-ს ნაკრები მატჩის დროს მიუნხენში მან მსოფლიოში პირველმა გადალახა 230 სანტიმეტრზე გადებული თამასა და ჩვენი პლანეტის რეკორდი დაამყარა მძლეოსნობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობაში. სხვათა შორის, სტოუნზი ფოსბიურის ყაიდით მხტომელთაგან პირველი მსოფლიო რეკორდსმენია (წინათ იგი „გადავლებით" ხტებოდა და მიუნხენშიც 209 სმ სწორედ ამ სტილით აიღო).

...1963 წლის ივლისი იყო. ერთ დღეს ცხრა წლის აიკ სტოუნზმა ამხანაგთან შეირბინა. ტელევიზიით მოსკოვიდან საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა მატჩს გადმოსცემდნენ. ვალერი ბრუმელმა სწორედ მაშინ აიღო ფანტასტიკური სიმაღლე — 228 სმ. „იმ საოცარმა ნახტომმა შთამაგონა, — თქვა ახლახან სტოუნზმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, — მაშინვე გადავწყვიტე, მხტომელი გავხდები და ბრუმელის მიღწევას გადავაჭარბებ-მეთქი".

15 წლის აიკი 168 სმ-ზე გადახტა, მერე კი ტელევიზორის ეკრანზე ნახა დიკ ფოსბიურის „ტრიუკი". ამ სტილმა დაიპყრო ახალგაზრდა სპორტსმენი. მწვრთნელ ტომ ჯენინგსის ხელმძღვანელობით სტოუნზი გულმოდგინედ ვარჯიშობდა.

1970 წელს მან 197 სმ აიღო, ერთი წლის შემდეგ — 218. მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში სტოუნზმა მესამე ადგილი დაიკავა — 221 სანტიმეტრზე გადახტა.

„ბევრი დამცინოდა, როცა ოლიმპიადის შემდეგ ვთქვი, მალე 230 სანტიმეტრზე გადავხტები-მეთქი, მაგრამ მე მივაღწიე მიზანს — ერთ წელიწადში ჩემს რეკორდს 9 სანტიმეტრი დავუმატე".

სტოუნზი 19 წლისაა (იგი ლოსანჯელესშია დაბადებული და ახლაც იქ ცხოვრობს). ტანად 196 სანტიმეტრია და კიდევ იზრდება („სიმაღლე გვარში მოგვდგამს"), 77 კილოგრამს იწონის.

ლოსანჯელესელი სტუდენტი კვირაში ხუთჯერ ვარჯიშობს, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ სიმაღლეზე იშვიათად ხტება. უფრო მეტს დარბის, სიმძიმეების აწევაში ვარჯიშობს ფეხის კუნთების გასამაგრებლად. ეკითხებიან ხოლმე: თქვენი სიმაღლის პატრონმა რატომ კალათბურთი არ აირჩიეთ, ეს სახეობა ხომ ყველაზე პოპულარულია ამერიკაშიო. სტოუნზის პასუხი ასეთია: „მე ამ თამაშისთვის სისწრაფე მაკლია, სიმაღლეზე ხტომისთვის კი მყოფნის". შეჯიბრების დროს სტოუნზი მუდამ ელის, როდის ჩამოვარდება სტადიონზე სიჩუმე — გულისყურის მოკრება ჩემთვის შეიძლება ყველაზე მთავარიაო, და მაშინ იწყებს გარბენს.. სტოუნზის ახალი ოცნება 240 სანტიმეტრის სიმაღლის გადალახვაა.

ბ. გუხოვცევი.

ლიდერთა შორის

იტალიის ორ ქალაქში — სუმონტესა და ანგრიში დაიწყო ევროპის იუნიორ კალათბურთელთა პირველობა. ტურნირში მონაწილე კოლექტივები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. საბჭოთა კალათბურთელები, რომლებიც პირველ ჯგუფში ასპარეზობენ, ჯერჯერობით წაუგებლად მიდიან. მათ ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგეს. განსაკუთრებით დამაჯერებლად ითამაშეს ჩვენებმა გფრ-ის იუნიორებთან — 81:53. ამ ჯგუფში ორ-ორი გამარჯვება აქვთ მოპოვებული იტალიისა და საბერძნეთის კალათბურთელებსაც.

მეორე ჯგუფში ლიდერობენ იუგოსლაველები.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბოლის დისკვალიფიკაცია

ფიფა-ს აღმასკომმა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას აცნობა, რომ ამ ქვეყნის ნაკრების წევრს ა. ბოლს ეკრძალება ყველა საერთაშორისო თამაშში მონაწილეობის მიღება, სანამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დისციპლინარული კომისია სპეციალურად არ განიხილავს მის საკითხს. ბოლი მინდვრიდან გააძევეს პოლონეთ — ინგლისის ნაკრები გუნდების მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში.

ასეთ შემთხვევებში ფიფა მკაცრ გადაწყვეტილებებს მიმართავს ხოლმე.

ჰიდეგკუტი ჰეგანის ნაცვლად?

ინგლისელი მწვრთნელი ჯ. ჰეგანი, რომელიც ბოლო წლებში დიდი წარმატებით ხელმძღვანელობს „ბენფიკას", მიმომხილველთა ცნობით, პორტუგალიაში აღარ რჩება და სამშობლოში ბრუნდება. მის ნაცვლად „ბენფიკას" დირექტორატი აპირებს მოიწვიოს გამოჩენილი უნგრელი სპეციალისტი ნ. ჰიდეგკუტი.

წელს „ბენფიკამ" იშვიათი წარმატებით ითამაშა ეროვნულ ჩემპიონატში, მაგრამ მაინც გადაიდგა ნაბიჯები მის გასაძლიერებლად.

ტრადიციის წინააღმდეგ

75 წელია, რაც ინგლისის ჩემპიონატებში უცვლელი წესებია: I ლიგაში 22 გუნდი მონაწილეობს და დაბალ ლიგაში გადადიან ბოლო 2 ადგილზე გასულნი.

ახლა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი დადგენილება მიიღო: 1973-74 წლების სეზონიდან I ლიგას დატოვებს არა 2, არამედ 3 გუნდი და ამდენივე დაიჭერს მათს ადგილს. ეს კეთდება იმიტომ, რომ ბრძოლა I ლიგაში უფრო დაძაბული გახდეს.

საერთაშორისო ტურნირი სარაგოსაში

ესპანეთის ამ ქალაქში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს „რეალმა" (სარაგოსა), ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამემ" (სოფია), „ბორუსიამ" (მენჰენგლადბახი) და „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" (ლონდონი).

ფინალში გერმანელმა ფეხბურთელებმა მოუგეს ცსკა-ს — 2:0.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის განათლების განყოფილების სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა იუწყება, რომ გარდაიცვალა
ივანე გრიგოლის ძე კობახიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

55 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 11532